S72
1990

ISSN 0132--590

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1990 წ. დეკემბერი № 12

ფილოსოფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲣᲨᲕᲔᲠᲘᲫᲔ

დაგვიზამთრდა,
აცივდა,
შეჯირხლულა მინები.
საახალწლოდ დარბაზს ვრთავთ
ლამაზ სერპანტინებით.
გვაქვს ხასხასა ნაძვის ხე,
გვეავს თეთრწვერა ბაბუა,
ბურთულები,
ფიფქები,
ჩიტუნები ღაბუა.
ვეებერთელა ხურჯინიც
სავსე არის ტკბილითა.
მოდი, წელო ახალო,
გელოდებით დილიდან.

ᲪᲐᲝ, ᲘᲜᲐᲗᲔ!

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲝᲑᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ცაო, ინათე
თეთრი აისით,
ღმერთო, არა გაქვს
ავის უფლება,
მე ხატად მიზის
და მაქვს საფიცი
დედა,
სამშობლო,
თავისუფლება!
კმარა ცრემლები, —
დედის ცრემლები,
ცვარ-ნამი დილის
ევავილს უხდება,
მე ფიანდაზად
შემოვევლები
ჩემი მამულის
თავისუფლებას.
შენზე ფიქრებში
სანთლად დავიწვი,
ვერვინ წამართმევს
ამის უფლებას,
სამომავლოდაც
ეს მაქვს საფიცი —
დედა,
სამშობლო,
თავისუფლება!

მხატვარი **ᲚᲐᲚᲘ ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიადი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოდი, ეხლა შენ იყავ ჩემი შვილი! — უთხრა ზვიადმა მამას და მუხლებზე ჩიტივით ჩამოუსკუპდა.

— კი ბატონო, ვიქნები შენი შვილი! — დაეთანხმა ბიჭს მამა.

— დედა კიდევ ნიკას შვილი იყოს!

— მგონი, არც დედა იტყვის უარს ნიკას შვილობაზე!

— მე შენ ბევრ ფაფას გაჭმევ, რომ დიდი, ღონიერი ბიჭი გაიზარდო!

— თანახმა ვარ!

— ფაფას რომ შეყლაპავ, რძესაც ხომ დააყოლებ?

— სიამოვნებით გადავყლურწავ!

— თუ წვნიანს არ შეჭამ, ეზოში სათამაშოდ არ გაგიშვებ, არც ზოოპარკში წაგიყვან!

— ძალიან კარგი!

— ხვალ დილით, საბავშვო ბაღში რომ მივალთ, რუსიკო მასწავლებელს მიგგვრი. იცი, რა კარგი რუსიკო მასწავლებელი მყავს? დაგინახავს თუ არა, გაგიცინებს, აი ასე, თავზე ხელს გადაგისვამს, მოგეფერება და გეტყვის — «ჩემი კარგი ბიჭი». ხომ არ გაავჯავრებ რუსიკო მასწავლებელს?

— არა, არ გავაჯავრებ! — იცინის მამა.

— არც იტირებ?

— არა!

— არ იტირო, არც ვინმეს წაეჩხუბო, თორემ რუსიკო მასწავლებელს მტირალა და *მოჩხუბარი ბავშვები არ უყვარს.*

— ბატონი ბრძანდები. მე შენი შვილი ვიქნები, დედა — ნიკასი. რასაც გვეტყვით, ყველაფერს დაგიჯერებთ, ოღონდ ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ! — უთხრა მამამ ზვიადს.

— რაზე?

— ჩემს მაგიერ შენ წახვალ სამსახურში, დედას მაგიერ — შენი ძმა!

— მანქანით? მანქანას ჩვენ მოგვცემ? — გაუხარდა ზვიადს.

— მოგცემთ, მაგრამ მართვა რომ არ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცით?

— ნიკამ ხომ იცის დაქოქვა?!

— მარტო დაქოქვა არ კმარა, მოძრაობის წესებიც უნდა იცოდეთ!

— ვიცით, მამა, ვიცით. წითელ შუქნიშანზე გავჩერდებით, მწვანეზე ვივლით. ვიქნებით ფრთხილად, რომ მანქანა არავის დავაჯახოთ და არ გავჭყლიტოთ.

— მიხვალ ჩემს სამსახურში და იმუშავებ!

— რა უნდა გავაკეთო?

— ქაღალდზე მრავალსართულიანი სახლების პროექტს დახაზავ!

— ფანქრით?

— ფანქრით და სახაზავით!

— ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ასეთი შენობა უნდა დავხაზო?

— უფრო დიდი და უკეთესი!

— მერე?

— გამომთვლელ მანქანაზე ციფრებს დაიანგარიშებ!

— ციფრების დაანგარიშება რომ არ ვიცი?

— არ იცი და ვერც პროექტს დახაზავ!

— იქნებ ნიკამ დაიანგარიშოს? ის ხომ დია, სკოლაში დადის!

— მაშინ დედაშენის მაგიერ შენ წახვალ საავადმყოფოში, დაჯდები ლაბორატორიაში და ავადმყოფებს ანალიზისთვის სისხლს აუღებ!

— თითიდან?

— თითიდანაც, მკლავიდანაც...

ზვიადი ჩაფიქრდა.

არც დედიკოს სამსახური ყოფილა იოლი და ხელწამოსაკრავი საქმე. ერთხელ ზვიადსაც აუღეს სისხლი. თითში კალმის წვერივით რაღაც წვეტიანი უჩხვლიტეს. მართალია, ვაჟკაცურად გაუძლო ტკივილს, მაინც ჩუმად ეტირებოდა. არა, არც ზვიადი ატკენს ვინმეს თითს. ეხ, რაც არის, არის! ის და მისი ძმა ისევ პატარებად დარჩებიან. ნიკა სკოლაში ივლის, თვითონ — საბავშვო ბაღში. ბაღი კარგია. იქ არც ციფრებია დასაანგარიშებელი, არც თითში იჩხვლიტებიან რაღაც ანალიზებისათვის. და რაც მთავარია, განა მამას სამსახურში ისე კარგად მიეფერებიან ზვიადს, როგორც რუსიკო მასწავლებელმა იცის ბაღში მოფერება?

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

მისალოცი ბარათი

ცირა ქიტიაშვილი

გისურვებ სურვილთა ასრულებას,
ფერეიდანელო ფერიდე,
სულ სიხარულით მოფრინავდეს
შენი ღამე და შენი დღე.
ამბობ, მხიარული გოგონა ხარ,
რატომ გაქვს სევდიანი თვალები?
ქართული წერა გისწავლია,
ასოებს მიხატავ წვალებით.
ტოლებთან თურმე თავს იწონებ
დიდედის ნამზითვი ფარდაგით,
მშობლიურ ფერებს ეფერები,
ხელს უსვამ, ფაქიზად გადაგვი,
ეს რა საამური ხმა გქონია
და მმას უმღერი, — ნანაო,
უმრავლოს, უმრავლოს საქართველოს
შვილები შენისთანაო.
რაც თქვენ დაგაშორეს ამ მიწა-წყალს,
მზე ჩაესვენა მრავალი,
მაინც საქართველო გესიზმრებათ,
შორი გზა — მისკენ სავალი.
ბრძოლით დაღლილა შენი მიწა,
შენი დიდი ბაბა სადაც წევს,
აგსრულებოდეს შენ ოცნება
ჩვენთან დაესწარი ახალ წელს.

საქართველო — ზღაპარი

თენგიზ კობერიძე

მე ამ მიწას ცვრიანს,
მე ამ ღელეს ტეიანს,
მათ კვალდაკვალ ოცნებების
მერნები რომ ქრიან,
ვერ ვუნახე ბადალი,
სხვაგან მათი მაგვარი,
და ამიტომ ვუწოდე:
საქართველო — ზღაპარი...

მხატვარი ვაჟა ქურხული



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა, ბაჩო და პირველი სიყვარული

დავით ტურაშვილი

უფროსებს ჰგონიათ, რომ პატარები ვერაფერს ხედავენ და არაფერს გრძნობენ. ან არ ფიქრობენ საერთოდ. ამიტომაც ისე ექცევიან, როგორც ძუძუმწოვარა ჩვილებს. არადა ისინი ნამდვილად არ არიან ბალღები. თუნდაც ნიკას ამბავი: ათი წლის იყო, პატარა სპილო ბაჩო რომ ჩამოიყვანეს ქალაქში. ყველანი ბაჩოზე ლაპარაკობდნენ და ნიკა ხომ არ ჩამორჩებოდა. მერე რა, რომ — ბავშვი ხარო, — მშობლები ეუბნებოდნენ: ათი წლისა გახლდათ, პატარა ხომ აღარ იყო.

არავინ იჯერებდა მის დიდობას თვითონ ნიკას გარდა. არადა უცნაური იყო — თითქოს ბავშვად თვლიდნენ და, ზოოპარკში წამიყვანეთო, რომ ითხოვდა, რაღა დროს შენი ზოოპარკიაო, — პასუხობდნენ. რა ექნა ნიკას ჯერ იყო და ტელევიზორში თავისი ყურით მოისმინა კონკურსის შედეგი — სპილოსათვის გადავწყვიტეთ ბაჩო დაგვერქმიაო. დიქტორმა გაიღიმა და — გთხოვთ, ჩვენს ზოოპარკს ეწვიოთო.

იმ დღიდან ეხვეწებოდა ნიკა ხან დედას და ხან მამას, წამიყვანეთ, ბაჩო მანახეთო, იმათ კი მიზეზი არ ელეოდათ — კრებები და მოხსენებებიო, ბანკეტები და სტუმრებიო.

ნიკა კი იჯდა და სპილოს ხატავდა. ხატავდა ისეთს, როგორიც წარმოედგინა. დრო კი გადიოდა...

მისი თანაკლასელებიდან ყველამ ნახა ბაჩო. გამუდმებით იმ პატარა სპილოზე ლაპარაკობდნენ და ნიკას ბოღმით ევსებოდა გული.

თუმცა არა — ნიკას გვერდით რომ გოგონა იჯდა, სულ ახალი გადმოსული მათ კლასში, ბაჭუა, ლამაზი

ცხვირითა და დიდი ბაფთით, იმასაც არ ენახა ბაჩო. ნიკას, რა თქმა უნდა, სახელის კითხვა დაავიწყდა და ბაჩოზე ჰკითხა, თუ გინახავსო. არაო, და ძალიან მინდაო, — მიუგო გოგონამ. გოგონას იმიტომ ვამბობ, რომ სახელი არც ჩვენ ვიცით. ნიკას დაავიწყდა კითხვა და ჩვენ საიდან გვეცოდინება.

— ძალიან, ძალიან გინდაო?! — ისევ გაუმეორა ნიკამ.

— ძალიანო! — თავი დაიქნია ლამაზმა გოგონამ.

ნიკამ გაიღიმა და არაფერი თქვა. გაკვეთილების შემდეგ კი ხელი ჩაჰკიდა გოგონას და სკოლის უკან, ეზოს გასასვლელთან მიიყვანა.

— მერე... დედიკოო? — იკითხა შეშინებულმა გოგონამ.

— მშობლების მოსვლამდე დავბრუნდებით — დაამშვიდა ნიკამ და ზოოლოგიური ბაღისაკენ გაქუსლეს.

გზა როგორ არ იცოდნენ, მითუმეტეს ნიკამ, ავტობუსს გაყვნენ და ზოოპარკი რომ გამოჩნდა, ტაში შემოკრეს.

...სპილოსთან ბევრი, ძალიან ბევრი ხალხი იყოდა. ხელჩაკიდულები გაძვრნენ და გამოძვრნენ.

— ამას ბავშვები ნამდვილად არ იზამდნენ. — თქვა ვიღაცამ.

— უკან დავიხიოთ, — ყვიროდა მილიციონერი.

— ლურსმანი აჭამეს, ლურსმანი! — ყვიროდა ვიღაც ხანშიშესული ქალი.

— უკან დავიხიოთ! — ბრძანებას იძლეოდა მილიციონერი.

ათი წლის ნიკა და ლამაზი გოგონა, პაჭუა ცხვირითა და დიდი ბაფთით, ზოოპარკის შესასვლელთან ისხდნენ და ტიროდნენ...

დედოფალას ნუ მიღვიძებ

იოსებ აფციაური

უფრო კარგად ვითამაშებ
იწილოსა, ბიწილოსა,
დედოფალას ნუ მიღვიძებ,
ჯერ იწვეს და იძინოსა.
მე მიყიდეს დიდი ბურთი,
ჰატარა კი — ციცინოსა,
გარეთ გავალ მარტოკელა,
დაიამ ჯერ იძინოსა.
მე გავუშვებ საბალახოდ
ბეკეკას და კიკინოსა,
ბებიას ნუ დამადევნებთ,
ჯერ იწვეს და იძინოსა.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

სავონაროლა

მხატვარი ედუარდ-ამბოკაძე

მე-15 საუკუნის იტალიაში კათოლიკური სამღვდელოება და მისი მეთაური — რომის პაპი დიდ ფუფუნებაში იყვნენ, სარგებლობდნენ უბრალო ხალხის დაბალი განვითარებით და მათი სახელით ათასგვარ

ბოროტებას სჩადიოდნენ.

სასულიერო პირნი და საზოგადოების მაღალი ფენები განსაკუთრებით თავაშვებულები იყვნენ ქალაქ ფლორენციაში. ბოლო არ უჩანდა მათ ნადიმებს და დროსტარებებს, მათი ოჯახის წევრების ძვირფასეულობის გამოფენას ქუჩებში.

ალბათ, დრო იყო, და მოხდა კიდეც: ერთმა ბერმა ჯიროლამო სავონაროლამ დაიწყო საჯარო გამოსვლები გაპარპაშებული სასულიერო პირების და საზოგადოების მაღალი ფენების უსაქციელობის წინააღმდეგ. ბერი ბრწყინვალე ორატორი იყო. მისი სიტყვები მძაფრად მოქმედებდა მსმენელებზე, ბევრი ფლორენციელი გვერდითაც ამოუდგა სავონაროლას — ისინიც ილაშქრებდნენ უზომო სიმდიდრით გაუკუღმართებულ თანამემამულეთა წინააღმდეგ. ბევრმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ფუფუნების საგნებზე, გამოჰქონდათ თავიანთი სახლებიდან ეს საგნები და საჯაროდ აძლევდნენ ცეცხლს ქუჩებში. სავონაროლა მაღლა და მაღლა იწევდა ნამდვილი წმინდანივით. ფლორენცია ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული. მაშინ უმაღლესმა სამღვდელოებამ, რომის პაპის ბრძანებით, სავონაროლა შეიპყრო და დილეგში ჩაგდო. მას ცხელი შანთებით აწამებდნენ, უნდოდათ ეთქმევინებინათ, ღვთის, ქრისტეს მგმობელი ვარო. მაგრამ სავონაროლა მამაცურად იტანდა ყოველგვარ წამებას. მაშინ პაპმა მისი დაწვა ბრძანა. ხალხში ამბობდნენ, სავონაროლა მეორე იოანე ნათლისმცემელიაო. 1498 წელს პაპის ბრძანება აღასრულეს. სავონაროლა საჯაროდ დაწვეს. ვერაფერი უშველეს იმ ადამიანებმა, მისი აზრების მოზიარენი რომ იყვნენ. ცრემლით კი, რა თქმა უნდა, ბევრნი მიაცილებდნენ სავონაროლას სულს ცისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გოგონა ვისია

ნესტან კუპრავა

ეს გოგონა ვისია?
ეს ჰატარა ვისია?
ვისი არის ცქრიალა,
ცუგრუმელა ცისია?
ვის ეკუთვნის ღიმილი
კოხტა გოგოს რომ ხატავს?
ეს კისკისი ვისია,
ასე უხვად რომ ფანტავს?
ეგ ფოფინა თვალები
როგორ შვენის ცისიას,
ასე კარგი, ლამაზი
ეს გოგონა ვისია?
რა თქმა უნდა, — დედისა,
რა თქმა უნდა, — მამისა,
კიდევ დაიკოსია,
კიდევ მამიკოსია.
მაგრამ ციდა ქართველი
განა მარტო მათია?
სამშობლოს ლამაზ ცაზე
მარტო მათთვის ანთია?
ჰატრონია ცისია
მშობელ მთის და მდელოსი.
ეს ქართველი გოგონა
არის საქართველოსი.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუსიკის გაკვეთილი

იოსებ ომაძე

— მოიხედე, ბიჭო, აქეთ! რას უცდი? რომელი თითით უნდა დაიწყო დაკვრა? დო, დო! მერე — მი! ხელს უყურე, ხელს, ყურადღებით!.. უფრო ღრმად დაუკარი, ჩაძირე, ჩაძირე თითები! თითი ნუ გაგიშვერია დროშასავით!.. უიმე, როგორ მიიზლაზნებიან, როგორ დაზოზინებენ შენი თითები კლავიატურაზე! ნუ აგვიანებ! რას გავს ეს! — მარცხენა ხელის თითები ცალკე უკრავენ, მარჯვენასი — ცალკე! ყურადღებით!.. ერთი-და, ორი-და!.. ერთად, ერთად! აი, ასე! დაითვალე, შენ თვითონ დაითვალე! ხმამაღლა! არ მესმის! რომელი თითით უნდა დაუკრა? ფა დიეზი! ბიჭო, რა მოგივიდა? ოქტავით მაღლა რატომ აძვერი? უიმე!.. ჩვენც ვითომ ვუკრავთ! ესაა მუსიკა? როგორც აგურაგურ აშენებენ სახლს, ისე მიჭირავს ჩემი ხელით შენი ხელი და კი არ ვუკრავთ, ნოტს ნოტზე ვაწებებთ. თითქოს თითო ხელზე თითო ფუთიანი საწონი ჩამოგკიდეს! თავისუფლად!.. რა მოხდა? დროზე უნდა მოემზადო! შენ კი უცებ გაგახსენდება, რომ ნოტები მეორე ხელზე გადადიან და გაჰკრავ — „ისვრი“. მეოთხე თითით დაიწყე!.. ნუ ცეკვავ თითით, ნუ აკაკუნებ! ერთხელ კიდევ, აი, აქედან დაიწყე. რა ნოტებია აქ? ბიჭო, ნოტებს რატომ არ უყურებ? შეხედე, შეხედე აქ რა წერია? რას უკრავ, ბიჭო, შენი საკუთარი ვარიაციებია? რას ეძებ? ნუ ცდილობ, ბახზე უკეთ მაინც ვერ მოძებნი! ნოტებს ჩახედე! ერთი-და, ორი-და, სამი-და!.. ისე დაუკარი, შენ თვითონ მიხვდე, რას უკრავ! თითები წესიერად დააყენე!.. გააგრძელე... მელოდია ქვევით მიდის, შენ კი საით გაუხვიე? ერთი-და, ორი-და, სამი-და... ხელს მიხედე! ერთი თითი აქ გაქვს გამოჩრილი, მეორე იქ, მოამრგვალე თითები! გადაბმულად გააგრძელე, ხომ ხედავ, აქ ლეგატოა! ნუ თვლემ, ზარმაცუნა!.. მეორე თითით დაიწყე! რატომ იწყებ მეოთხე თითით? ხომ ხედავ, ნოტს რამოდენა ორიანი დავუწერე ზევით, წესით ის შენ გეკუთვნის, არა თუ? მეორეთი დაიწყე-მეთქი, ხომ გითხარი? აქ რომ მიხვალ, რით დაუკრავ, მეექვსე თითი რომ არ გაქვს? თავიდან დაიწყე!.. იარე, იარე თითებით, ნუკი მიფორთხავ! შენ ხომ ბიჭი ხარ!.. ნუ დასეირნობ კლავიშებზე ფისოსავით! ფუ, როგორი უგემური ბგერებია! ინსტრუმენტს ესიამოვნება, ასე რომ უტყაპუ-

ნებ? შენ თვითონ გსიამოვნებს? ლამაზად დაუკარი, ჩვენ ხომ მუსიკოსები ვართ! ჩვენ ხომ გვინდა, ხელოვანები ვიყოთ?.. თითები ღრმად ჩაძირე, მკაფიოდ, მკაფიოდ დაუკარი!.. ნაბიჯით იარე, ნაბიჯით... იარე, კარგად, ყოჩაღად იარე — ჯარისკაცებივით უნდა დააბიჯებდნენ თითები! ითვალე, ხმამაღლა ითვალე! ერთი-და, ორი-და, სამი-და!.. შენი თითები რა პეპელასავით დაფარფატებენ, წონა არ აქვთ? ნახე, როგორ ულამაზოდ გაგიფარჩხავს თითები! მოამრგვალე! თანაბრად დაუკარი... რა ნოტია ეს? სწორია, სოლ! მერე შენ რას უკრავ? ყურადღებით. აქ დიეზი არ გამოგრჩეს! მოხსენი მარცხენა ხელი, მარჯვენაში ლეგატოა! შემდეგ? გააგრძელე! შეხედე! ისე კი ნუ დაუკრავ, როგორც შენ მოგეხასიათება, როგორც რიტმულ ნახაზშია დაწერილი — ისე! აი, აქედან გაიმეორე! ყურადღებით!.. ვის უცდი? მოაქუჩე თითები ერთად, მოამრგვალე, ნუ გაგიფშეკია უშნოდ! რბილად და ამავე დროს მკაფიოდ ჩაუშვი თითები! ნუ უკაკუნებ ჩაქუჩივით, ლურსმნებს კი არ აჭედებ!.. ბიჭო, აქეთ მოიხედე, ისევ ფანჯარაში იყურები? დავით, რა დაგემართა?..

დათუნა, რვა წლის ჩაფსკვნილი, შავთვალწარბა ბიჭი, დიდრონ, ლამაზ თვალებს მიაპყრობს ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს... მუსიკის მასწავლებელიც ფანჯარაში იყურება — პირველი თოვლი ესტუმრა ქალაქს! ქუჩიდან აღწევს ბავშვების ჟრიამული — გუნდაობენ, თოვლის პაპას აკოკოლავებენ, სრიალებენ ფერდობზე. აგერ კიდევ ერთი აჟივჟივებული ბავშვების გუნდი გამოჩნდა — აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, თოვლს ხვეტენ გამალებით: ყიჟინით, ხორხოცით, ერთმანეთის ხელის კვრით და თოვლში გორვით... მერე სახეაწითლებულნი, თვალებაბრიალებულნი ჟინიანად იწყებენ კიდევ ერთი, უფრო დიდი თოვლის პაპის ძერწვას.

მუსიკის მასწავლებელმა რატომღაც ამოიოხრა, ფანჯარას მოსცილდა.

— წადი, დავით, თავისუფალი ხარ. ოღონდ, პარასკევს რომ მოხვალ, ბახის პრელუდია ორივე ხელით ბოლომდე უნდა იცოდე. კარგად ისწავლე, მტკიცედ. ჩერნის ეტიუდიც გაიმეორე.

— კარგით, ნახვამდის, მასწავლებელო! — უკვე ნახევრადჩაცმულმა დათუნამ ხოტბიდან დღიური ჩაყარა ცელოფანის პარკში და საჩქაროდ გამოადო კარი.

ოთახში შემოიჭრა ცივი, ცინცხალი ჰაერის ტალღა და შემოიტანა პირველი თოვლის სურნელი.

მხატვარი **ზაურ დეისაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან წამებული

მარინე ფეიქრიშვილი

ხოხბის ყელივით მშვენიერო,
მუხრანელთა ასულო უმწიკვლოვ,
ღვთისმშობლის ხატივით სახიერო,
კახეთის რძალო, უბიწოვ,
უღმერთოდ განკითხულ-განწირულო,
ჭირთან წილნაყარო მძევალო,
რწმენისთვის ზვარაკად შეწირულო,
წმინდანად შერაცხულო მხევალო,
ვარვარა მუზარადით გვირგვინი შეგინაცვლეს,
მაინც ვერ აღისრულეს წადილი,
ქალი შენ ეოფილხარ, აფერუმ დედოფალო,
რომ არ შეაბღალვინე მანდილი.
თურმე მნელია სიკვდილი ლოგინში,
ტუვეობაში კი — მით უფრო.
ამბობენ მძიმეა სიკვდილი ლოდინში,
ხორცთა გლეჯვაში კი — მით უფრო.
მინდა ზესკნელისა განხვნა კარის,
კარის — საზეკაცო სავანის,
მინდა დაგიჩოქო, რამეთუ წესი არს
ჰატივმოგების და თაყვანის...
მინდა ზესკნელისა განხვნა გზანი,
გზანი საზეკაცო სავალის,
რა შორი ეოფილა, რა შორი ეოფილა
შენამდე მოსასვლელი სამანი.
თურმე მნელია სიკვდილი კოცონზე,
ნაღვერდლის სარეცელზე კი — მით უფრო,
ამბობენ, ვალია სიკვდილი სამშობლოსთვის
მისი გადარჩენისთვის კი — მით უფრო!..
ხოხბის ყელივით მშვენიერო,
მუხრანელთა ასულო, უმწიკვლო,
უღვთოთ განკითხულ-განწირულო,
კახეთის რძალო უბიწოვ.

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

როგორ მოაშინაურა ადამიანმა ფუტკარი

გურამ თაქთაქიშვილი

უხსოვარ დროში ფუტკარი თურმე ველურად ცხოვრობდა, ბუდეს მიუვალი კლდეების ნაპრალებში და უღრანი ტყეების ტანმაღალ ხეთა ფუღუროებში იშენებდა, მაგრამ არც ამ ადგილებში ჰქონდა მოსვენებული ცხოვრება, ძალზე ბევრი სულიერი ცდილობდა, როგორმე ფუტკრის ბუდისათვის მიეგნო, შეუმჩნევლად მიჰპარვოდა სურნელოვანი თაფლით გავსებულ ფიჭებს და ამოეცარიელებინა, მაგრამ განა ფუტკრის ოჯახის დარაჯებს მხარ-თეძოზე ეძინათ? იყო ერთი ბრძოლა და ვაიუშველებელი.

განსაკუთრებით დათუნია ძალადობდა. ხეზე ასვლა ხომ მისი საქმე იყო, შეყოფდა თათს ფუღურეში და მოზრდილ ფიჭის ნაჭერს გამოტეხდა, სტაცებდა პირს, გაიქცეოდა მდინარისაკენ და დასეული ფუტკრისაგან თავის დასახსნელად წყალში მოადენდა ტყაპანს.

არც პირველყოფილი ადამიანი რჩებოდა ვალში, ცეცხლითა და წყლის დასხმით ანადგურებდა ფუტკარს, თაფლი და ცვილი კი ნადავლად მიჰქონდა.

ძალიან გაუჭირდა ფუტკარს ურიცხვ მოძალადეებთან ბრძოლა. გადიოდა დრო. ფუტკრის ოჯახების რაოდენობა თანდათან ილეოდა, მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს ფუტკარს მზრუნველი პატრონი და ერთგული მოსარჩლე გამოუჩნდა...

ადამიანი მიხვდა, რომ თუ ფუტკარს მტრებისაგან არ დაიცავდა, ეს დალოცვილი მწერი გადაშენდებოდა და სხვებთან ერთად თავად ადამიანიც უთაფლოდ დარჩებოდა; დროთა განმავლობაში მან შეამჩნია, რომ როცა ფუტკარი ბარტყობდა — მრავლდებოდა, ოჯახი შუაზე იყოფოდა, ერთნი ძველ ბუდეში რჩებოდნენ და იქ აგრძელებდნენ ცხოვრებას, მეორენი კი ბუდეს ტოვებდნენ — სხვა ფუღუროიანი ხის ძებნაში შორს მიფრინავდნენ და მერე მათი მოძებნა არც ისე ადვილი იყო. ამიტომ ადამიანმა ფუტკრის ოჯახების სიახლოვეს თვითონ დაიწყო ხეებში ფუღურეების ამოჭრა, რომ შიგ ნაბარტყი ფუტკარი ჩასახლებულიყო. თანდათანობით ადამიანი მიხვდა, რომ ტანმაღალ ხეში ფუღუროს ამოჭრაზე ადვილი იყო მოჭრილ ხის მორში ბუდის ამოკვეთა და მერე მისი ხეზე დამაგრება, და ასეც მოიქცა. ბოლოს კი ეს მორები ხეებიდან ჩამოხსნა და ძირს დააწყო, თანაც ეს ადგილი შემოღობა, რომ მსუნაგ ცხოველებს ფუტკრისათვის არაფერი ევნოთ.

ასე გაჩნდა პირველი საფუტკრეები.

ხის მორების დამზადება და შემდეგ შიგ ფუღუროს ამოჭრაც დიდ შრომას მოითხოვდა და ამიტომაც ადამიანმა წნელისაგან გოდორი დაწნა, შიგნიდანაც და გარედანაც თიხით ამოლესა და ფუტკრის ოჯახი შიგ დააბინავა. ასეთნაირად დამზადებულ ფუტკრის სამყოფელს წნულა ეწოდებოდა.

ასე თანდათანობით გააუმჯობესა ადამიანმა ფუტკრის სამყოფელი და საბოლოოდ სკა მიიღო. დღეისათვის ფუტკარი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და მისი ოჯახების რაოდენობა 40 მილიონს აღწევს, საქართველოში კი 150 ათასამდეა.

ფუტკრის ჯიშებიდან მსოფლიოში საუკეთესოა ქართული და იტალიური ფუტკარი. ამასთან ურთიერთშეჯიბრებაში ქართულმა ფუტკარმა რამდენჯერმე დაჯაბნა იტალიური. ამიტომაც არის, რომ მარტო მას აქვს მინიჭებული 3 ოქროს მედალი.

ქართულ ფუტკარს ყველა ჯიშის ფუტკარზე გრძელი ხორთუმი აქვს და, მაშასადამე, ისეთი ყვავილებიდან შეუძლია ნექტრის ამოწუწნა, რომლებსაც სხვა ფუტკარი ვერ წვდება.

იგი ცნობილია გამბედაობით — ბუდის კარგად დაცვის უნარით; გამოირჩევა შრომისუნარიანობით, მუშაობას იწყებს ადრიანად და ამთავრებს დაბინდებისას, ამიტომაც თაფლს სხვა ჯიშის ფუტკარზე მეტს აგროვებს. აი, როგორი ყოფილა ჩვენებური — ქართული, მთის რუხი ფუტკარი. ამიტომაც დიდმა თუ პატარამ ხელი უნდა შევუწყოთ მის მოშენებასა და გამრავლებას ჩვენს პატარა, მაგრამ ბარაქიან საქართველოში.

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ გავიზრდები

მაია გელუტაშვილი

გაგვებუტა დათო,
არაფერი ართობს.
მოეწყინა მარტოს,
თურმე და-ძმებს ნატრობს.
ერთგულ დილით ნიკა
დებს სკოლაში მიჰყავთ.
ირმა უცხობს ნამცხვარს,
მზისს მიაქვს ჩანთა,
ქუდს უკერავს თამთა.
სულ ტრაბახობს ანა:
ძმა მყავს იმისთანა,
კაბა მომიტანა...
ცირკში წამიყვანა.
გუშინ ტუუჰი ძმები
მიუყვანეს ნანას.
მიუჯდება აკვანს,
მღერის იავნანას.
ასე ამბობს გელა:
— გაჯობებთო ყველას,
გოჩას, მე და შიოს
ვინღა მოგვერიოს!
— აღარც ფაფას შევჭამ,
თუ არ დამიჯერებთ,
აღარ წავალ ბაღში,
არ დავიბან ხელებს!
მომიყვანეთ ძმები,
მომიყვანეთ დები,
თორემ დიდი ბიჭი
აღარ გავიზრდები!

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

თოვლის გუნდის მოგზაურობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერნარ კლაველი

ერთი მთის ძირას პატარა სოფელი იყო მიყუჟული. ამ სოფელში ბედნიერი ბავშვები ცხოვრობდნენ. თვალწინ მაღალი ბალახითა და მინდვრის ყვავილებით დაფარული მინდორი ჰქონდათ გადაშლილი. სოფელს მდინარე ჩაუდიოდა, შრიალებდნენ ხეები, უკან კი მთა აღმართულიყო და მისი მუდამ დათოვლილი მწვერვალი თეთრად ქათქათებდა. ძალიან ლამაზი იყო ეს მთა, მაგრამ მშობლები ბავშვებს სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, მთის მწვერვალზე ბავშვებისჭამია დათვები არიანო, და დაშინებული ბავშვებიც მთაზე ვერ ადიოდნენ.

ერთხელ, მდინარის პირას თამაშის დროს, პატარა სესილიმ ინატრა, ნეტავ თოვლი აქ იყოს, გუნდას გავაკეთებდიო. ისე უცბად მოუნდა, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, გაიარა მინდორი, ტყე, და ცოცვა-ცოცვით მთის კალთას აუყვა. ერთი საათის შემდეგ შეჩერდა და სოფელს გადახედა. იმ სიმაღლიდან სოფელი სულ პატარა ჩანდა, სახლები ასანთის ღერებს ჰგავდნენ, ადამიანები კი — ჭიანჭველებს.

ბოლოს გოგონამ იმ ადგილს მიაღწია, სადაც მარადი თოვლი იწყებოდა. მთის კალთა აქ ნაკლებად ციცაბო იყო, მაგრამ ისე გადმოშვერილი, თითქოს თოვლის სიმძიმეს მოედრიკა. მწვერვალზე პატარა პლატო იყო. სესილიმ თოვლი დააგუნდავა და დააგორა. გუნდა თანდათან იზრდებოდა, იზრდებოდა და ბოლოს გოგონას სიმაღლე გახდა. ბავშვი ველარ მოერია გუნდას, ძვრაც ვერ უყო; ჩაფიქრდა, აღარ იცოდა რა ექნა, და სწორედ ამ დროს უშველებელი მურა დათვი დაინახა. გოგონა შიშის კანკალმა აიტანა.

— რა გაკანკალებს? — ჰკითხა დათვმა, — გცივა?

— არა, — უპასუხა ტირილით გოგონამ, — მაგრამ ვიცი, რომ შემჭამ.

— ხა, ხა, ხა, რა სასაცილოა! — გაიცინა დათვმა — ყური მიგდე: ერთხელ აქ ჟურნალისტი ამოვიდა და ყველა სულდგმულს გამოჰკითხა, ვის რა უყვარდა. მეცა მკითხა, და ვუპასუხე, პატარა ბავშვები მიყვარს-მეთქი. ისე ვთქვი, როგორც შენ იტყოდი, ხეები, სახლები ან პეპლები მიყვარსო, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, თითქოს შენ ხეებს, სახლებს ან პეპლებს ჭამდე!

— რა თქმა უნდა, არა. მერე?

— ჰოდა, იმ ადამიანებს, ვისაც ჭამის მეტი არაფერი ახსოვთ, ჰგონიათ, რომ დათ-

1 ფ. 324

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვები მათზე მსუნაგები არიან. რაკიღა ვთქვი, ბავშვები მიყვარს-მეთქი, ეგონათ თითქოს ბავშვების ჭამა მიყვარდეს. ამიტომაც არ უშვებენ ბავშვებს მთაზე.

— რა სამწუხარია! — შესძახა სესილიმ, — თოვლი ისეთი კარგია!

დათვი თოვლის გუნდას დასცქეროდა, სესილის ჰკითხა:

— რა უნდა უყო ამ გუნდას?

— ქვევით უნდა ჩავიტანო, სოფელში.

— მერე ამას რა უნდა! — უთხრა დათვმა, გუნდას თათი ჰკრა და დააგორა. გუნდა გზადაგზა იზრდებოდა და მთის ფერდობს რომ მიაღწია, უკვე სოფლის ეკლესიისხელა გახდა.

— ცოტა უნდა შევაჩეროთ, თორემ თუ სწრაფად დაგორდა, დაიშლება, — თქვა დათვმა და ნელ-ნელა გააგორა.

გუნდამ სამი ხე და ცხვრის ფარეხი წალეკა.

— არა უშავს, — დინჯად თქვა დათვმა, — რაც მე ბოლო ბატკანი შევჭამე, ეგ ფარეხი მაინც არაფრის მაქნისია.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, დათვმა უთხრა სესილის:

— აბა, ჩემო გოგონი, კიდევ რომ მოგინდეს გუნდის დაგორება, მთაზე ამოდი და მე მომძებნე. უთხრა ეს დათვმა და თოვლიანი მწვერვალისაკენ წაბაჯბაჯდა.

მინდორში ცხელოდა და გუნდამ დნობა იწყო. სესილის, რა თქმა უნდა, გული დასწყდებოდა, რომ არა სცოდნოდა — ისევ ავიდოდა მთაზე და თოვლსაც კიდევ დააგუნდავებდა.

მერე კი საოცრება მოხდა! გუნდა რომ დადნა, იმ ადგილას ფარეხი დარჩა, რომელიც ამიერიდან სესილის თავშესაფარი იქნებოდა მინდორში თამაშის დროს.

სოფლელებმა რომ გაიღვიძეს, თოვლის ნატამალიც აღარსად იყო. მხოლოდ ფარეხი დაინახეს შუა მინდორში და გაოცდნენ.

— სასწაულია, ამ ფარეხს აქ რა უნდა, ვინ მოიტანა?! — გაიძახოდნენ ისინი.

სესილი თავჩაქინდრული იდგა. იცოდა, დასცინებდნენ და გადაწყვიტა, არ გაემხილა თავისი საიდუმლო, არ ეამბნა მურა დათვის ამბავი, ვაითუ მონადირეებმა მასზე ნადირობა დაიწყონო. არაფერსაც არ ვუამბობ, არსებობს ისეთი რამეები, რასაც უფროსები ვერ გაიგებენო.

ფრანგულიდან თარგმნა

რუსუდან მარგველაშვილმა

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ნოდარ გუგუშვილი

ფარიკაობა

დარტანიანთა ნაკვალევზე

ცნობილი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას რომანში სამი მუშკეტერისა და გასკონელი ყმაწვილის — დარტანიანის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება 1625 წლის პირველ ოქტომბერს დაიწყო. მაგრამ ფარიკაობა, როგორც ორთაბრძოლისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის გარკვევის საშუალება, გაცილებით უფრო ადრე იყო ცნობილი. ამდენად, დიუმას პოპულარული რომანი „სამი მუშკეტერი" ამ საბედისწერო ტრადიციის რომანტიკულად ასახვის უბადლო ცდას წარმოადგენდა.

ფარიკაობა ყველაზე ადრე და შედარებით დეტალურად ძველინდურ ხელნაწერებშია მოხსენიებული. ეგვიპტეში ფარაონ რამზეს III-ის კარზე ახალგაზრდებს თურმე ფარიკაობაში გაკვეთილებსაც კი უტარებდნენ. მეორე იყო რომი, გლადიატორთა სისხლიანი ბრძოლები. იულიუს კეისარმა ახალგაზრდა გლადიატორთა დასახმარებლად ფარიკაობის სახელმძღვანელოც შექმნა.

საშუალო საუკუნეებში კეთილშობილ რაინდთა კოდექსის შვიდი პუნქტიდან ერთ-ერთი ფარიკაობის ხელოვნების ცოდნას გულისხმობდა. მოგვიანებით ესპანელებმა ფარიკაობაში ახალი სისტემა შეიმუშავეს და გაავრცელეს იგი იტალიასა და ესპანეთში. 1553 წელს ფრანგებმა ფარიკაობის ხელოვნების შემდგომი სრულყოფის მიზნით ბრძოლის ახალი წესები ჩამოაყალიბეს, 14 წლის შემდეგ კი ფარიკაობის აკადემიაც დააარსეს.

ფრანგული ფარიკაობის ისტორიაში შევიდა რამდენიმე, განსაკუთრებით დახვეწილი ოსტატის სახელი. მათ შორის არიან გრაფი მონმორანსი, რომელიც თურმე დარტანიანის დროს ცხოვრობდა, მარკიზ ლეტორნერი, ცნობილი პოეტი სირანო დე ბერჟერაკი, რომელსაც ერთხელ დუელში მოლიერი გაუწვევია; აგრეთვე, სახელგანთქმული ქიმიკოსის, ჟოზეფ ლუი გეი-ლიუსაკის უახლოესი წინაპარი ანრი. ზოგმა მათგანმა ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა. მონმორანსი, მაგალითად, სიკვდილით დასაჯეს იმიტომ, რომ დუელში ჩვიდმეტი კაცი მოკლა. ასეთივე ბედი ეწია ლეტორნერს, რომელმაც ფარიკაობა თექვსმეტი წლისამ დაიწყო...

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში ფეხს იკიდებს სპორტული ფარიკაობა — ორთაბრძოლის უხიფათო ხელოვნება. ხმალი — გუშინდელი სიკვდილის იარაღი — გამოცდილი მოფარიკავის ხელში მაღალი სპორტული ოსტატობის სიმბოლოდ იქცა.

ფარიკაობა, როგორც დამოუკიდებელი სპორტული დისციპლინა, პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს (ეს იდეა ეკუთვნოდა თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებელს, ფრანგ პიერ დე კუბერტენს, რომელიც ახალგაზრდობაში კარგი მოფარიკავე ყოფილა.). 1906 წელს მოეწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი ფარიკაობაში, 1913 წელს ჩამოყალიბდა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაცია, 1937 წელს კი უძლიერესმა მოფარიკავეებმა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი გაითამაშეს.

საქართველოს მოფარიკავეთა დებიუტი საერთაშორისო ასპარეზზე 1952 წელს შედგა. ჰელსინკში, XV ოლიმპიურ თამაშებში, პირველად მოსინჯა ძალები ჩვენმა თანამემამულემ აკაკი მეიფარიანმა, 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონი გახდა ნუგზარ ასათიანი, 24 წლის შემდეგ კი იგივე წარმატება გაიმეორა ქართველ მოფარიკავეთა ახალი თაობის წარმომადგენელმა ვლადიმერ აფციაურმა. ოლიმპიური თამაშების მონაწილენი და პრიზიორები სხვადასხვა დროს იყვნენ: რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი და გურამ კოსტავა.

სხვათა შორის, გურამ კოსტავა ფარიკაობის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლავთ. იგი ორჯერ ფლობდა ოლიმპიურ ბრინჯაოს მედალს, იყო მსოფლიოს ჩემპიონი როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის სახელი მოპოვებული აქვს ვლადიმერ აფციაურსაც, რომელიც დღემდე წარმატებით გამოდის საფარიკაო ბილიკებზე.

ოთხით ნოლი

გიორგი მეტრეველი

მომიტანეს გუშინ ბურთი,
არ გასულა ერთი წუთი,
ჩვენი უბნის ბიჭებს ყველას
დაუძახა მიხომ ხელად.
გავითვალეთ არადანი,
თითო გუნდში მოვხვდით სამნი...

ბაბა ჩვენთვის გაისარჯა
და დაგვიდგა ნამდვილ მსაჯად!
და შეხვედრა ჩვენი მართლაც
ბრაზილიურ ფეხბურთს ჰგავდა.
ავადინეთ მიწას ბოლი,
თუმცა წავაგეთ ოთხით ნოლი!

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასახლნლო თავსახეხი

1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც წინ უძღვის ახალ წელს და ძველთაგანვე ახალ წელთან ერთად იხსენიება.
2. რა გრძნობა ახლავს ამ ორ მშვენიერ დღესასწაულს?
3. რომელი მარადმწვანე ხე ამშვენებს ამ დღესასწაულებს?

რა სიტყვებით ვულოცავთ ერთმანეთს ახალ წელს?

4. . . . . ლ . დაესწარით!
5. . ი . . . . მოგცეთ!
6. . . . წ . . . გაშოროთ!
7. შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ . . ე . . . !
8. რა ეწოდება ახალ წელს გურიაში?
9. დრო, რომელიც აწმყოს შემდეგ მოვა და, რომელმაც, გვინდა, დამოუკიდებლობა და ბედნიერება მოუტანოს ჩვენს სამშობლოს.



მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

დილა

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჯიჯინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ედი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-96-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-96-18; სამხ. რედაქტორის—93-96-18; განყოფილებების 93-96-19

გადაეცა ასაწყობად 2.10.90. წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.11.90.წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა № 2125

ყდაზე ნახატი
თენგიზ მირზაშვილისა

«Дила» («Утро»)
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 141.500. Заказ №2125

ფასი 20 კაპ.
6 251/20
ინდექსი 76054
ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი **ნანა იოსელიანი**